საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 74

05/05/2015

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის

განსახორციელებლად გამარტივებული წესით ერთ პირთან მოლაპარაკების გზით

გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე–3 მუხლის, მე–2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ნუნისში მეწყერის შედეგად დაზიანებული ცენტრალური საავტომობილო გზის აღსადგენად.

2. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

ინგა მაღრაძე

ი. მაღრაძე

საკრებულოს თავმჯდომარე